ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2339620

ნომერი: AR1359885

თარიღი : 27.11.2015

გაცემის თარიღი : 11.12.2015

გაცნობის თარიღი : 12.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , შპს "ვარკეთილი 96"-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , (III) მასივი , კვარტალი 7, N7 კორპუსის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ოთარ პირველი პ/ნ 01010011580
- გაზაფხულის ქ.19 კორპ.19

ორგანიზაცია:
- შპს ვარკეთილი კოდი: 208149779

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიის დაცვის მიზნით პირველი კლასის ჟალუზის მოწყობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, ჯავახეთის ქუჩა, შპს "ვარკეთილი 96"–ის მიმდებარედ/ვარკეთილის დასახლება, (III) მასივი, კვარტალი7, №7 კორპუსის მიმდებარედ, შპს "ვარკეთილი 96"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ტერიტორიის დაცვის მიზნით ჟალუზის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882015127715 10.03.2015წ. საკადასტრო კოდი №01.19.20.024.079, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, ჯავახეთის ქუჩა, შპს "ვარკეთილი 96"–ის მიმდებარედ/ვარკეთილის დასახლება, (III) მასივი, კვარტალი7, №7 კორპუსის მიმდებარედ, შპს "ვარკეთილი 96"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ტერიტორიის დაცვის მიზნით ჟალუზის მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო ჟალუზი მოეწყოს თქვენი კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge